საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
City Hall of Kutaisi Municipality

N 01/20228
15/09/2016

4600, საქართველო, ქუთაისი, რუსთაველის გამზ № 3
ტელე/ფაქსი: (0431) 245454; ფაქსი: (0431) 246962
3 Rustaveli ave. Kutaisi. 4600, Georgia
Tel/Fax (+995431) 245454; Fax: (+995431) 246962

20228-01-2-201609151722

ფაქტ-მეტრის რეგიონულ ანალიტიკოსს
ქალბატონ ირმა ბახუტაშვილს

ქალბატონო ირმა,

თქვენი მომართვის /№21048/01, 6.09.2016წ/ პასუხად, მოგახსენებთ, რომ ქ.ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სოციალური საცხოვრისის მშენებლობისათვის მ/წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 1,000,0 ათასი ლარი.

ქ.ქუთაისის საკრებულოს 2016 წლის 30 მარტის №133 დადგენილების საფუძველზე, კონკურსი ჩატარდა მ/წლის 11 ივლისს, რომელშიც გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „სანო“ /საიდენტიფიკაციო ნომერი 405130273/. შპს „სანომ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ, კი მინიმუმ 2500კვ.მ საცხოვრებელი ფართი და მინიმუმ 2000მ^2 საეზოვე ფართი, ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტს უნდა ჩააბაროს არაუგვიანეს 2017 წლის 01 თებერვალს. სავარაუდოდ, სოციალურ საცხოვრისში უნდა მოხდეს მინიმუმ 50 ბენეფიციარის დროებითი შესახლება.

რაც შეეხება სოციალურ საცხოვრისში უსახლკაროთა დროებით შესახლებას, აღნიშნული განხორციელდება დამატებით ახალი, სპეციალურად შექმნილი კომისიის შექმნის შემდეგ და სწორედ აღნიშნული კომისიის მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

თან ერთვის: 2016 წლის 30 მარტის საკრებულოს №133 დადგენილების, ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 20.06. №2124 და 24.06. №2225 ბრძანებების, შპს „სანოსთან“ გაფორმებული წინასწარი ხელშეკრულებისა და კომისიის ოქმების ასლები.

პატივისცემით,

კონსტანტინე ქავთარაძე

მერის მოადგილე